№ 123. 16 ივნისი, სამშაბათი. 1866—1881 16 ივნისი, სამშაბათი. № 123

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверія".

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე [illegible] კაპ., [illegible] მოკრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ი. ილიას ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ. Редакція „Дроэба".**

უმდაბლესად გსთხოვთ ყველას, ვინც კი რამე იცოდეს ან გაგონებით, ან წერილობით სოლომონ ლეონიძის (მეფე ერეკლეს მდივნის) შესახებ, დაგვავალოს და ის ცნობები „დროების" რედაქციაში გამოგვიგზავნოს.

აკაკი

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 14 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება ჯარების ტანისამოსის ფორმის შეცვლაზე და გამარტივებაზედ; სხვათა შორის ქუდებზე „სულთანი" აღარ იქნება და სხვ.

„გოლოსში" იწერებიან, შესდგა უმაღლესი კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს საგანგებო საშვალებათა შესახებ წესის დადგენა:

## კურს-შესრულებულებს

თბილისი, 13 ივნისს.

დღეს შეასრულეთ თქვენ სწავლა საშუალ სასწავლებელში. დღეს მოიშორეთ თავიდამ ის მძიმე ტვირთი, რომელსაც გიმნაზიის კურსს ეძახიან. ახლანდელს გიმნაზიებში და საზოგადოთ საშუალ სასწავლებლებში სწავლა თითქმის ყველგან ძნელი ტვირთია ყმაწვილის ნორჩ ბუნებისათვის; ჩვენებურს გიმნაზიებში კი და ჩვენი ყმაწვილებისათვის ეს ტვირთი, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, რომელიც არა-ერთხელ ყოფილა ჩვენს გაზეთში მოხსენებული, ერთი-ორად უფრო მძიმედ და თითქმის აუტანელ ტვირთად ხდება. ამიტომაც არის, რომ იმ ასსა და ორასს ყმაწვილებში, რომელნიც მუდამ წელს შედიან გიმნაზიების პირველ კლასსებში, ძლივს ათი მიაღწევს მერვე კლასსამდინ და ასრულებს სწავლას.

მარტო ის გარემოება, რომ თქვენ გადურჩით უცხო, გაუგებარს ენაზე საგნების შესწავლის ტანჯვას, რომ გადურჩით ბერძნულსა და ლათინურს ენებს, რომ თქვენ გადურჩით ბევრ სხვა ზნეობით და ნივთიერ განსაცდელს, რომელიც ჩვენის ქვეყნის შვილებს ჩვენს საშუალ სასწავლებლებში მუდამ გზაზე ელობება, ვამბობთ, მარტო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ თქვენ გქონიათ მაგარი ბუნება და მკვირცხლი, ცოცხალი ტვინი.

ახლა თქვენ უმაღლესს სასწავლებელში წასვლას და იქ სწავლის შესრულებას ემზადებით. კეთილია განზრახვა თქვენი და ჩვენ თქვენზე ნაკლებ არა გვსურს, რომ ეს კეთილი განზრახვა კეთილ-დაც შეგესრულებინოსთ. მაგრამ სანამ თქვენს ქვეყანას გამოეთხოვებოდეთ და სანამ იმ ნეტარ და ყველასათვის ტკბილ-მოსაგონებელ ცხოვრებას ეძახიან, ორიოდე ძმური სიტყვა მინდა გითხრათ:

თქვენ ჰხედავთ—რა მდგომარეობაში ია ამ ჟამად ჩვენი პატარა, მაგრამ ლამაზი ქვეყანა; ჰხედავთ, რომ ჩვენ ბუნებით მდიდარი ვართ, ყოვლად შემკობილი ქვეყანა წილად ურგუნებია ჩვენთვის განგებას; ჰხედავთ და იცით, რომ ჩვენი ხალხიც ნიჭიერი ხალხია; მაგრამ ამასთანავე იმასაც ჰხედავთ, რომ ეს ხალხი სიღარიბეში, სისაწყლეში და გაჭირებაშია ჩავარდნილი; იმას ვერ უსარგებლნია იმ ბუნებით სიმდიდრით, რომელიც გარს არტყია; ვერ უსარგებლნია თავის მხნეობითა და ნიჭით.

საქმე ათასია ჩვენში: ეს ხელუხლებელი ბუნება, ეს შეუმუშავებელი ქვეყანა, ეს ღარიბი და უმეცარი ხალხი—ყველაფერი მუშა-ხელს და მუშა-ტვინს თხოულობს, ყველას კაცი, მშრომელი და გულ-შემატკივარი ეჭირება.

მაგრამ სად არის კაცი? სად არის მშრომელი და მზრუნველი ქვეყნისა და ხალხისათვის?

ჩვენი უბედურებაც ეგ არის, რომ კაცები არა გვყავან. ყველა თავის სოროებში შემძვრალა, ყველა კერძოთ თავისთვის ზრუნავს და თუ სადმეა ხალხი, საერთო ქვეყანა, საზოგადო სამშობლო—ეს ათასში ერთსაც არ აგონდება და თუ აგონდება, ისიც ხშირად მარტო იმისთვის, რომ სიტყვით სთქვას: „საყვარელო სამშობლოო" და საქმეთ კი თავის მოძმეს ორმო გაუთხაროს.

ამ ნაკლულევანების შესრულებას ჩვენი ქვეყანა თავის განათლებულ შვილებისაგან მოელის. და თქვენ, რომელნიც თვით განათლების სათავეს დასაწაფებელად მიდიხართ, კარგათ უნდა გახსოვდეთ: რისთვის მიდიხართ და, დაბრუნების შემდეგ, ქვეყანა რას მოგთხოვსთ; უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენა ხართ იმედი ჩვენის აწ-დავარდნილის სამშობლო ქვეყნისა; გახსოვდეთ, რომ თქვენ ისეთი სწავლა უნდა შეიძინოთ, რომელიც, ბოლოს, ამ თქვენ ქვეყანას ცოტათი მაინც წასწევს წინ, ცოტათი მაინც დაეხმარება ხალხს, ცოტათი მაინც მიაახლოვებს ამის თითქმის ველურ ცხოვრებას განათლებულ ევროპის ადამიანურ ცხოვრებასთან.

მართალია, სხვა-და-სხვა წოდებისა და ხელობის განათლებული კაცები ახლაც მოიპოვებიან ჩვენს ქვეყანაში; ახლაც გვყავან განათლებული ჩინოვნიკები, მემამულენი, მწარმოებელნი, აფიცრები, თვით მეცნიერნიც; მაგრამ, საუბედუროთ, ამათ ერთი რამ დავიწყებიათ: რომ ისინი თავის ქვეყნის შვილნი არიან, და მხოლოდ თავის განსაკუთრებულ ხელობას დასდგომიან: ჩინოვნიკი მხოლოდ ჩინოვნიკობს, აფიცერი აფიცრობს, მემამულე—მამულს უვლის, მეცნიერი თავის კაბინეთში ზის. არც ერთს არ უნდა, თითქო, გაიცნოს ცხოვრება, ხალხი, მიიღოს მონაწილეობა ამ ცხოვრებაში და განათლების, წარმატების სხივი მოჰფინოს სიბნელით, უმეცრებით სილატაკით მოცულს ქვეყანას...

---

«დროების» ფელეტონი, 16 ივნისს.

## სიტყვის და საქმის უჩვენებია!....

* * *

ვინ შეედრება ბედნიერებით
მას, ვინც ძმისათვისათვის დღე-და-ღამ
შრომობს,
ვინცა სულ მთელათ, სრულის არსებით
მხოლოდ მისია და მისთვის სცხოვრობს!

—

ვისაც ვალად აქვს ძმის სამსახური,
მისი სიკეთე უღელვებს გულსა,
ვალად აქვს შრომა პატიოსნური,
რომ მით შესძინოს რამე მამულსა....

—

ვისიც სიცოცხლე ამ წმინდა ვალის
გარდასხდას მხოლოდ მოსდომებია,
ვისც მაგალითი პატიოსანის
ოფლში გაწურულს ამ გვარს მუშაკსა,
ვინ იტყვის: „ვით ის, მეც ნეტარებით
უსტკბები ყოველ დღე და ყოველ ჟამსა?!

დ. გურამელი.

## მცირე რამ შენიშვნა

ძველათ საქართველოში მამულის „ურგებ-შვილობა" ისეთი საარაკო შემთხვევა და მოვლინება ყოფილა, რომ თურმე ამ გვარ კაცებს თითით აჩვენებდენ ხოლმე...

მადლობა ღმერთს, რომ დღეს ეს ჩვეულება აღარ არის, თორემ, თქვენი მტერია, ჩვენ თითი გაგვიშეშდებოდა.

ეჰ, სადღაა მამული, რომ მამულის შვილები ვეძიოთ? . . . . .
. . . . . . . .

ერთი რამ გვიკლავს გულს და უმჯობესია იმაზედ რამე ვსთქვათ:

ჩვენ ქართველობაში, რაც უფრო მაღლა ავიხედავთ, უფრო თვალ-და-თვალ ვხედავთ მამულის „უვარგო-შვილობას". არც-მარგენი არც საქმითა და არც სიტყვით, თვითქმის შურსაც კი აგებენ ყოველივე მშობლიურს... ბევრს ოჯახს შეხვდებით მისთანასა, სადაც დედაც ქართველია და მამაც (ენის ცოდნით) და შვილებმა კი ერთი სიტყვაც აღარ იციან ქართული. თავისი ერცხვინებათ და სხვისი კი ექებათ. ასს ქალში ოცს ვერ ნახავთ, რომ ქართულის წაკითხვა შეეძლოს და რაც შეეხება წერას, უბრალო ჰაზრის გამოთქმაც არ შეუძლიანთ მოახერხონ...

აი ამისთანა დროს შევხვდით ჩვენ „ივერიის" უკანასკნელს წიგნში ერთს რუსულ მოთხრობას „პოლინკა საკსი" ქალისაგან გადმოთარგმნილს. მთარგმნელი არის: კნეინა ა. მ. მელიქიშვილისა.

გვიკვირს და გვიკვირს... და რომ გვიკვირს ეს საკვირველი არ არის?

აკაკი.

15 ივნისს.

თქვენგან მოველით, რომ ამათ კვალზე არ გაივლით. თქვენგან მოველით, რომ თქვენს სპეციალურ მეცნიერებათა შესწავლაში არ დაივიწყებთ—რა იმედიც აქვს ქვეყანას თავის განათლებულ ახალ-თაობისა და როცა დაბრუნდებით, როცა „ცხოვრებას დაიწყებთ“, მაშინ, შეძლებისა-და-გვარად, აგვისრულებთ ამ იმედს.

ამ იმედით გესალმებით და „გზას დაგილოცავთ“...

## ახალი ამბები.

დღეს მესამე დღეა, რაც თფილისელები ალტაცებითა და განკვირვებით შევსცქერით ერთ დიდ კუდიან ვარსკვლავს, რომელიც დაღამებისათანავე აღმოჩნდება ხოლმე ჩრდილო-ეთ-დასავლეთისაკენ, ვერისაკენ და გათენებამდინ მოკიანთობს. უბრალოს თვალით ამ კუდიანს თვარეს შემდეგი შეხედულობა აქვს:

თვითონ ვარსკვლავი ისეთივეა, როგორც სხვა ვარსკვლავები, მხოლოდ ცოტათი უფრო დიდად მოჩანს. ამ ვარსკვლავიდამ გამოდის ნათელი სხივები, ჯერ ვიწროთ და უფრო მანათობლად და მერე ფართოვდება და თან-და-თან აკლდება სინათლე. ეს სხივები (კუდი) ზევით არის ამართული. უბრალოს თვალით კუდი ხუთიექვსი საჟენი სიგრძე ეჩვენება კაცს.

კალენდარში ამ კუდიან-ვარსკვლავზე ვერავითარი ცნობა ვერ ვნახეთ; მხოლოთ ერთს ფინლანდიის გაზეთში დაბეჭდილია არგენტინის ობსერვატორიის ვარსკვლავთ-მრიცხველის წერილი, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ეს კუდიანი ვარსკვლავი მაისში გამოჩენილა იქ და ევროპაში იენისის თვეში გამოჩნდებაო. ეს იგივე კუდიანი ვარსკვლავი უნდა იყოსო, რომელიც 1807 წელს იყოვო, ან იმ ვარსკვლავისაგან მოცილებული ნახევარი ნაწილიო.

***

წუხანდელი ბენეფისი რეჟისსორის თანაშემწის მარიამ წერეთლისა არც ხალხის სიმრავლით და არც თვითონ წარმოდგენით ბენეფისს არ გვანდა. ერთი მიზეზთაგანი ამისი, რომ ხალხი ცოტა იყო თეატრში, სხვათაშორის, იქნება ისიც იყო, რომ რეჟისსორის მოღვაწეობას საზოგადოება ვერ ჰხედავს და ვერც დააფასებს, თუმცა მოღვაწეობა ერთი უსაჭიროესთაგანი და უმძიმესთაგანი საქმეა სცენისათვის; ამას გარდა წუხანდელმა „სეირნობამ“ ალექსანდროვის ბაღში, უეჭველია, დიდი დაბრკოლება მისცა. საუბედუროდ, პიესაც ვერ იყო კარგად ამორჩეული: „მზის დაბნელება“ ერთობ მობეზრებული აქვს ჩვენს საზოგადოებას. ერთ დროს ამ პიესას იქნება რამე მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ დღეს ის ჩვენ საცირკო პიესად მიგვაჩნია..

წუხელ პირველად გამოვიდა ჩვენს სცენაზე ახალი აქტრისსა კ-ნა ანდრონიკოვისა მარეხის როლში, რომელიც ისე კარგათ შეასრულა, რომ ახლავე ეტყობა, ამ აქტრისას კარგი მომავალი მოელის ჩვენს სცენაზე, თუ, ღვთით ეს სცენა ხანგრძლივი იქმნა. თამაშის ნიჭს დაუმატეთ მშვენიერი შეხედულობა და მიხრა-მოხვრა ამ ახალ-გაზდა ქალისა, კარგი ხმა და კილო სიმღერისა და გრაციით და ლაზათით სავსე ლეკურის თამაში, რომელსაც ჩვენს სცენაზე მცირედი ადგილი არ უჭირავს...

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის რეალურ სასწავლებელში წელს სულ თორმეტ ყმაწვილ-კაცს შეუსრულებია სწავლა. ამათში ოთხი ქართველები არიან: ჯაფარიძე, ანდრონიკოვი, ფორაქოვი და ბვერდწითელოვი.

***

გორიდამ გვწერენ, რომ იქაურს საოსტატო სემინარიაში ცხრამეტ ყმაწვილს შეუსრულებია კურსი. ამათგან 3 თათარია: ველიბეგოვი, ალიბეგოვი და ხალილოვი; 2 სომეხი: ამირაგოვი და დავიდოვი; 1 ოსი: სოხიევი; ? დანარჩენი ცამეტი კი ქართველები: ვ. ალნიაშვილი, ბ. ვაშაკიძე, ნ. ჯაჯანიძე, მამალაძე, ს. მათიკაშვილი, თ. ხუსკივაძე, ს. ნათაძე. მ. რცხილაძე. ლ. ჩომახიძე, გ. პაპიტოვი, ს. ჩახნაევი, ვ. სულხანოვი და ქუნჭუხიძე.

ამბობენ, ეს კურსი წასრულ კურსებს სჯობიაო, თითქმის ყველანი საიმედო ყმაწვილ კაცები არიან და კარგი მასწავლებლები დადგებიანო...

***

სოფ. ალიდამ გვატყობინებენ:

„ეს მესამე დღე იქნება, რაც აქ ჭირი გაჩნდა საქონლისა, სამი სული მოჰკლა და მამასახლისმა ტყავიანათ დაამარხვინა.

„ახლავე უნდა თადარიგი და პატრონი, თორემ სხვა სოფლებს თუ მოედვა ჭირი, გვიანღა იქნება.“

## ვეფხის-ტყაოსნის რედაქციისაგან

ამ ზაფხულში, 1 ენკენისთვემდის, რედაქციამ შესწყვიტა მუშაობა. წასრულს თვეებში განხილულ-იქნა ერთი მესამედი პოემისა; ორი მესამედი, იმედია, მოთავებულ იქნას მომავალი წლის 1 იანვრამდის.

ხელ-ნაწერის პატრონებს, რომელთაც დაავალეს რედაქცია წიგნების გამოგზავნით, რედაქცია უმორჩილესად აცნობებს, რომ მათი წიგნები საიმედო ადგილში არიან შენახულნი.

დასასრულ რედაქცია სთხოვს აზნაურის ნიკოლოზ ელიოზოვის და პოლკოვნიკის გრიგოლ წერეთლის მემკვიდრეთა აცნობონ „დროების“ რედაქციას რა იქნა ის ძვირფასი ხელ-ნაწერი ეგზემპლიარები ვეფხის-ტყაოსნისა, რომლებიც განსვენებულს პლატონ იოსელიანს უნახავს იმათ ხელში. ერთი ამ წიგნთაგანი (ელიოზოვისა), პლატონის სიტყვებით, ყოფილა საკუთრება მეფე ალექსანდრესი (1443) და მეორე—ამაზე უძველესი. ორივე ხელ-ნაწერი რედაქციისთვის ძვირფასი შეძენილობა იქნება და უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ნაცნობს თუ მემკვიდრეებს, ზემო აღნიშნული ადრესით შეგვატყობინონ თუ სად არის ეს წიგნები.

ამ წიგნებს გარდა, თუ ვისმე აქვს ხელ-ნაწერი ვეფხის-ტყაოსანი, ვთხოვთ გვათხოვონ.

რედაქციის საქმის მწარმოებელი.
ი. მეუნარგია.

## აქტი

1881 წელსა თიბათვის 8-ს დღესა მე მამასახლისს თეზის საზოგადოებისას ლაზიკა შუკაკიძეს გამომიცხადა ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ შემდეგი:

დღეს დილით ვხნამდი ჩემი საკუთარი გუთნით ჩემს საკუთარს მამულში წლევის მიწაში, რომელსაც ჰქვიან სათეზოგორის-ძირის მიწა. ჩემს გუთანს გაგაყოლე შინაური მოსამსახურე ტატო ბუქური და დაეწყოთ ხვნა. შუადღისას დასცემოდნენ ჩემს გუთანს ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მოურავი ფრანცუზი ჟანი კაცებით შეიარეღებულნი; შინაური ივანე მუხრანსკის მოსამსახურენი იყვნენ: პავლე ფატორაძე, გიგოლა დალაქიშვილი, გრიგოლა ოკინაშვილი და ბადლუა ყირმიზაშვილი. ამთ ჯერ ეცემათ ჩემის გუთნის დედისათვის აზრამა გაგაკეთაშვილისთვის, რომელსაც თავი გაუტეხეს და რამდენსამე ალაგს დაალურჯეს; მეხრეებსაც სცემეს; ევროპიული გუთანი დამიმტვრიეს, ურემი თვლების გარდა, მთელი გუთნის უღელი და სხვა ხის იარაღი დამიწვეს და ნამწვრები იქვე მიწაში ჰყრია; სახნისი გატეხეს საკვეთელი და თასმის ყველა იარაღი შინ წაიღეს.

ამ შემთხვევის მოწმები არიან: წლევის ტყის-მცველები გიორგი ივანეს-ძე ჭარიაშვილი, მალხაზ ჯავახოვი და ვასილა ზატარქალოვი. როდესაც მეველე გიორგი ჭარიაშვილი მისულიყო და ეთქვა, რარა ხოცამთ მაგ ბიჭებსო, მაშინ ამ ფრანცუზს ივანე მუხრანსკის მოურავს ჟანს დაეძახნა თავისის ამალისათვის: დაიჭირეთ ეგ მამაძაღლი და მოკალით. შეშინებული ჭარიაშვილი გაქცეულიყო და ფრანცუზს ჟანს თოფი ესროლნა და ტყვია ასცდენოდა. ამ დროს ზედ მოსწრებოდა ჩემი მოსამსახური ტატო ბუქური; ბუქურისათვისაც მოკვლა დეეპირებინათ, მაგრამ რადგანაც კარგი ცხენი ჰყვანდა, გაქცეოდა და ვეღარ მოსწრეოდნენ.

ამ ყველა ამბავს მთელი ოკამის ხალხი უყურებდა სოფლიდამ.

მე წავისხი სოფლის ოკამში მცხოვრებნი 3 სულია თეზის საზოგადოების გიორგი მგლიშვილი, მოსე შამაზაშვილი, სოლომანა შუკაკიძე, ტატო თინიკაშვილი, გიორგი შამინაური, პავლე ჩიტაშვილი და შიო შაბიაშვილი და ვნახე შემდეგი: გუთანი ევროპიული სისტემისა არის დაშლილი, სახნისი გატეხილი აქვს და საკვეთელი არა სჩანს, ურმის თვლები ქვეით ჰყრია, ურმის უბის ნამწვავები და უღლების ნამწვავები იქვე ეყარა, ნაცეცხლარი ოთხის არშინით სიგმით ეტყობა; ყველა ნამწვავ-ნამტვრევები სოფელში გამოვიტანე და მაქვს შენახული.

შევადგინე აქტი ეს [illegible] თანდასწრებით ზემოხსენებულთ ოკამში მცხოვრებით გიორგი მგლიშვილისა, სოლომონა შუკაკიძისა, მოსე თამაზაშვილისა, პავლე ჩიტაშვილისა, გიორგი შამანაურისა და შიო შაბიაშვილისა თეზის მამასახლისმა ლაზიკა შუკაკიძემ. რადგანაც წერა არ ვიცოდი, ამისათვის, პატარა ბეჭდის უქონლობის გამო, ვასვამ ამ სოფლის თეზის საზოგადოების კანცელარიის ბეჭედს.

(ბეჭედი).

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! მე წავიკითხე თქვენს პატივ-ცემულს გაზეთს „დროებაში“ მე №-106 ნომერში შენიშვნა გამოგზავნილი ერთის ოზურგეთის პირის კორრესპონდენტისაგან, რომ მე უნდა მყავდეს სამოცამდის შაგირდები და თითოეულისაგან უნდა ვღებულობდე თვეში თითო თუმანს.

ამაზედ ერთის მხრით მამართლებს მე მარნის სოფლის მასწავლებელი ქაპანაძე მე № 113-ში მის მიერ დაბეჭდილს სტატიითა და მეორეს მხრით კი მაძაგებს, რომ, რასაც ჰღებულობს, ისიც ტყუილა მიაქვსო, სწავლის ნაცვლად, ბავშვები მახინჯდებიან იმის ხელში ზნეობითაც და გონებითაცო.

მიკვირს ბ. ქაპანაძისაგან რა იფიქრა მაშინ, როდესაც ეს დასწერა: მე მაგინებს მარტო, თუ მრთელს ოზურგეთის საზოგადოებას? პირველი, რომ მე ადრე მოვშორდი სკაპეცებსა და სჯულიერის მეულღეობითა ვარ ცოლიანი და მეორე, რომ მერამდენადაც ვიცი, ეხლა ამ დროში არა თუ ოზურგეთში, არამედ სვანეთშიაც არ იპოვება ისეთი ხალხი, რომ ავი და კარგი არ ესმოდეს, შვილი უფუჭდება თუ უკეთდება—ვერ ატყობდეს. ვინ არის ისეთი ყრუ, რომ გაფუჭებისათვის ფული გარდიხადოს? იყო დრო, არ ვკადრულობდი ასე კაპეიკებით ნაშოვარს ფულს, როდესაც ვსახურებდი აგენტსტვოში თვეში ორ-მოცდა-ათ მანეთად. იყო დრო, ბ. ქაპანაძე; პოლკოვნიკების შვილები მყოლია შაგირდათ, რომელნიც გიმნაზიაში სახელოვანად მიუღიათ და ჩემზედ საყვედური არავის უთქვამს და ვერც იტყვის მტერის მეტი და მტერნი კი ჩემზედ უკეთესსზე[ც] ბევრს ყბედობენ, მაგრამ ღვთის მოყვარე კაცი ესეთს ტყუილებს არ მიიღებს მხედველობაში.

ამისთვის უმორჩილესად გთხოვ, ბატონო რედაქტორო, ადგილი მისცეთ ამ პატარა სტატიას თქვენს პატივ-ცემულს გაზეთ „დროებაში“ აღსადგენელად ჩემის სიმართლისა, რომ ჩემთან არასოდეს არ დამახინჯდება და არც გაფუჭდება კაცის შვილი, მაგრამ ზოგიერთნი ენატანიანნი იმერლები თავის ძმას არა ზოგვენ შურითა და ჩემზედ რომ ესეთნი სთქვან, რა გასაკვირვია...

ადამ ვასილიევი.

ოზურგეთი, 8 ივნისს.

—

პეტერბურღის გაზეთებში იწერე-ბიან, რომ 6 ივნისს კიდევ უნახავთ ეკატერინის არხში და ამოუღიათ ორი გუტაბერჩის ბალიში სამი ფუთი და ოც-და-ათი გირვანქა შავი დინამიტით, სრულებით დამზადებული ასაფეთქათ: თვითონ ის მასალა, რომელიც პირ-ველად უნდა აფეთქებულიყო, ჩასხმუ-ლი იყო შიგ მინაში შუშის ბანკებ-ში, ცეცხლის გამყვანი ძაფებიც წყალ-ში უნახავთ გაბმული.

— მემამულე—ექსპერტებმა, რო-მელნიც დანიშნული არიან „საგლეხო“ კომისიაში, მინისტრებთან პირველივე მოლაპარაკების შემდეგ სხდომაზე, დანიშნეს კომისია, რომელსაც მიენ-დო გამოსყიდვის ფასის დამცირების შესახებ უსაჭიროეს კითხვების დადგე-ნა.

ამ ექსპერტების რჩევის შესახებ პეტერბურღიდამ სწერენ გაზ. მოსკოვ-სკის ტელეგრაფს: შინაგან საქმეთა სა-მინისტროს, განზრახვა აქვს, სხვათა შორის, მიანდოს განსახილველად ამ რჩევას ქვემო მოყვანილი კითხვები შესახებ გლეხების მდგომარეობისა: ა) შეიძლება თუ არა, სახელმწიფოს ეხლანდელ მდგომარეობის დროს, დროებით მიენიჭოს საგლეხო მარ-თველობას უფლება განსაკუთრებით შემთხვევებში, თავ-თავიანთ მდგომა-რეობაზედ, პირ-და-პირ ღუბერნა-ტორთან იქონიონ მიწერ-მოწერა; ბ) საჭიროა თუ არა რაიმე ცვლილე-ბა სასოფლო სამღვდელოების მდგო-მარეობაში თანახმად სოფლის საზო-გადოების თხოვნისა და იმათ დახსნი-სათვის იმ გარდასახადისაგან, რომელ-საც ისინი იხდიან სხვა-და-სხვა ეკკლე-სიურ წესებისათვის და რომელნიც ხშირად გამოიწვევს ხოლმე გლეხე-ბის უთანხმოებას და უსიამოვნებას და მით ამცირებს სამღვდელოებას საზოგადოების თვალში? გ) ჭეშმარი-ტად მავნებელია თუ არა მებატონეე-ბის ადგილების ნაწილ-ნაწილად იჯა-რით გაცემა ვაჭრებზე და მეიჯარად-რეებზე, რომელთაც ხშირად აქვთ სა-ხეში მხოლოდ ყოვლის ღონის-ძიებით მოგება (ექსპლოატაცია)? და დასასრულ, დ) საჭიროა, თუ არა, სამიკიტნოების აღკრძალვა სოფლებში, სადაც მცხოვ-რებლები არის არა ნაკლებ ასი ოჯა-ხისა, და რაც შესაძლოა იმათი შემ-ცირება, რადგან ცხადია ის ვნება, რომელიც შემოაქვს სამიკიტნოს გლე-ხების ცხოვრებაში და მათ ეკონო-მიურ მდგომარეობაში; ამასთანავე კა-მისიას ისიც უნდა ჰქონდეს სახეში, რომ სამიკიტნოების შემცირებამ ზა-რალი არ მოუტანოს მთავრობას, რადგან უმთავრესი შემოსავალი მას ამ წყაროდამა აქვს.

— ქ. ვისბადენიდამ იწერებიან შემ-დეგ ამბავს გრაფ ლორის-მელიქოვის იქ მყოფობაზედ: გრაფი თითქმის არ ეჩვენება საზოგადოებას; თვითონ არ იღებს ვიზიტით არავის, მხოლოდ სამი-ოთხი კაცი ყავს ამორჩეული, რომელთაც კარგათ იცნობდა რუ-სეთშიაც. როგორც ეტყობა, გრაფი თავის მოსვენებაზე უფრო ჰფიქრობს და ამისათვის მუდამ ცდილობს პო-ლიტიკაზედ და რუსეთის საერო საქ-მეებზე არ ილაპარაკოს. გრაფს ძრიელ არ ესიამოვნება, როდესაც სალამოო-ბით გამოვა ხოლმე სასეირნოთ და რწმუნდება, რომ ის უცვნიათ და უცქერიან. ბევრი უსიამოვნება მიუ-ყენებია გრაფისთვის მრავალ წერი-ლებს, რომელნიც მას მოსდის სხვა-და-სხვა კორრესპონდენტებისაგან, რე-პორტიორებისაგან და რედაქტორე-ბისაგან.

აი ამიტომაც გრაფი მხოლოდ ორი კვირა დარჩა ვისბადენში და აქედამ წავიდა ემსში; მისი სახლობა კი რჩება შლანგენბადში.

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმეთ წარმოება

1880 წლის 15 მაისიდამ 1881 წლის 15 მაისამდე

### საზოგადოების წევრნი და მართველობა

საზოგადოებაში ირიცხება 282 წევრი
ამ რიცხვიდამ დამფუძნებელი 123
საპატიო . . . 1
ნამდვილი . . . 158

საზოგადოების მმართველობას შეა-დგენენ:

თავს-მჯდომარე საზოგადოებისა დ. ი. ყიფიანი.

თავს-მჯდომარის ამხანაგი თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

წევრნი: ნ. ზ. ცხვედაძე, ი. ს. გო-გებაშვილი, თ. ი. გ. მაჩაბელი, ა. ი. სარაჯიშვილი, თ. რ. დ. ერისთავი, გ. ე. წერეთელი, თ. დ. ყორღანია, ი. ე. გამყრელიძე, თ. ზ. მ. თუმა-ნისშვილი, ი. მ. მეუნარგია და ზ. ქ. უთურგაური.

მმართებლობის წევრთა კანდიდა-ტები არიან: ნ. დ. ჟანანოვი, დ. ი. აველოვი და ვ. ს. მიქელაძე.

საზოგადოების საქმის მწარმოებე-ლი არის ქ. დ. ნაცვლიშვილი, ხაზი-ნადარი თ. ი. გ. მაჩაბელი.

### საზოგადოების მმართველობის მოქმედება

წარსულ წლის 1 ივლისის საერთო ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი სია გასავლისა საზოგადოების მოქმედების მეორე წლისათვის:

| | |
|---|---|
| პრემიისათვის . . . . . . | 950 მ. |
| წიგნებისა და სწავლის ნივთე-ბისათვის . . . . . | 500 მ. |
| ბათომის სკოლის მოსაწყობად | 500— |
| ტფილ. სკოლის მოსაწყობად | 500— |
| სტიპენდიატებისათვის . . . | 225— |
| ბიბლიოთეკა . . . . . . | 500— |

#### ყოველ წლიური ხარჯი:

| | |
|---|---|
| 6 სტიპენდიატისათვის . . . | 780 მ. |
| სეკრეტრის ჯამაგირი . . | 600— |
| კანცელიარია . . . . . . | 300— |
| ტფილისის სკოლისათვის . | 1000— |
| ბათომის სკოლისათვის . . | 1200— |

#### ხარჯი შეძლების-და-გვარად:

| | |
|---|---|
| ახალი სკოლების შესაწევრად | 2000 მ. |
| აგენტების გასაგზავნ-გამო-საგზავნად . . . . | 300— |
| პედაგოგიური კურსები . . | 500— |
| სალამოს სკოლა ტფილისში . | 300— |

#### სამოქმედო ფული:

| | |
|---|---|
| წიგნების და საპედაგოგიო ნივ-თების დეპო და წიგნე-ბის ბეჭდვა . . . . | 6000 მ. |

თანხმად ზემო მოყვანილის საერთო კრების გარდაწყვეტილებისა, საზოგა-დოების მმართველობამ აწარმოვა საქმეები:

### I

### ახალი სკოლების გამართვა.

#### ა) თბილისის სკოლა.

პირველსავე სხდომაში, შემდეგ საერთო კრებისა, მმართველობამ გა-დაწყვიტა წასრულს ენკენისთვეში გაემართა საერთო სკოლა ტფილისში იმ გვარ ადგილს, სადაც ქართველობა უფრო ჯგუფად სცხოვრობს და მა-შინვე გამოაცხადა გაზეთში ამ გვარი გადაწყვეტილობა; სკოლა იყო განზრა-ხული 60 ორივე სქესის ბავშვებისა-თვის; უმცირესი ამათგანი უნდა გან-თავისუფლებულიყვნენ საოსტატო გადასახადისაგან და უმეტეს ნაწილს ათი სასწავლო თვების განმავლობაში უნდა შემოეტანა თვის-თავზე თითო მანეთი. სკოლაში უნდა ესწავლათ ქართული წერა-კითხვა, რუსული ენა, საღმრთო წერილი, ანგარიში, სიმ-ღერა და ჭრა-კერვა. სკოლაში მისა-ღები ყმაწვილების ხნოვანება არ უნ-და გარდამეტებულიყო თორმეტ წელს. —

რადგანაც დრო ველარ ითმენდა და კარგი სახლის დაქირავება იმ ფასათ, რა ფასიც მმართებლობას ეზოგებოდა, შეუძლებელი იყო, დაქირავდა დროე-ბით (ერთი წლით) ხუთ ოთახიანი სახლი, რომელშიაც მმართველობამ სკოლას გარდა მოათავსა საზოგადოე-ბის კანცელარია. სკოლა გაიმართა 14 ოკდომბერს 1880 წელსა:

მიღებულ იქმნენ 30 ყმაწვილი—21 ვაჟი და 9 ქალი. ოსტატათ მო-წვეულ იქმნა ტფილისის სასულიერო სემენარიაში სწავლა-დასრულებული დ. ღვინიაშვილი; ჭრა-კერვის მასწავ-ლებლათ დაინიშნა ა. ჟანანოვისა.—

ამ ჟამათ სკოლაში არის—25 ბავ-შვი: 15 ვაჟი და 10 ქალი; ბავშვები შეადგენენ ორს განყოფილებას, უფროს განყოფილებაში არის 16 ბავშვი, უმცროსში—9.

სეკტემბრიდამ ამ მაისამდის სულ შემოსულა ბავშვებისაგან ფასად ოთხმოც-და-თვრამეტი მანეთი.

#### ბ) ბათომის სკოლა.

თანახმად საერთო კრების დადგი-ნებისა საზოგადოების მმართველობამ შარშან ზაფხულშივე მიჰყო ხელი ბათომის მაზრაში სკოლის გამართვას. მმართებლობამ არ იცოდა, თუ რა ადგილს უფრო გამოსადეგი იქნებოდა სკოლის გამართვა, და ამის გასაგე-ბათ გაგზავნა ბათომს თავისი წევრი ნ. ზ. ცხვეთაძე, რომელსაც მიენდო ყოველ-გვარი საჭირო ცნობების შე-კრება შესახებ სასკოლო ადგილის ამორჩევისა. ბატონმა ცხვეთაძემ მო-ახსენა მმართველობას იქაური გარე-მოება და დაარწმუნა მმართველობა, რომ სკოლის გასამართავად უკეთესი ადგილი იყო თვითონ ბათომი. ამ-გვარივე რჩევა მისცა მმართველობას ბათომის სამხედრო გუბერნატორათ მყოფმა ბატონ კომაროვმა, რომელ-მაც ბატ. ცხვედაძეს მეცადინეობით აღუთქვა სკოლის სასახლის მიწა შიგ ბათომში უსასყიდლოთ. (აქვე საჭი-როა მოვიხსენიოთ, რომ როცა მმარ-თველობას დაუმტკიცებენ შემოწი-რულ ადგილს, განზრახვა აქვს ააშე-ნოს იქ სასკოლო სახლი). ამის გამო მართველობამ გადაწყვიტა, შარშან-ვე გაეხსნა სკოლა ბათომში. მომავა-ლი სკოლისათვის დაამზადა საჭირო მებელი და სხვა სკოლის მასალეები, მაგრამ სკოლის გამართვა ვერ მო-ხერხდა, რადგან ბათუმშიაც სახლის შოვნამ გააძნელა საქმე—ბოლოს ბათომის სკოლაც გაიმართა ამ წლის 23 მარტსა, საზოგადოებამ გაგზავნა თავმჯდომარის ამხანაგი თავ. ილია გრ. ჭავჭავაძე დასასწრებად სკოლის გამართვაზედ.

სკოლის ოსტატათ არის მოწვეუ-ლი პეტერ-ბურღის მედიკო-ხირურ-გიულ აკადემიის სტუდენტი ა. ნანეი-შვილი, რომელიც ასწავლის ყველა საგნებს, გარდა საღმრთო წერილისა, მაჰმადიანის სჯულის მოძღვრათ არის მოწვეული ქართველი მოლლა-უსსე-ინ-ეფენდი.

ამ ჟამად სკოლაში არის 28 ბავ-შვი. ამათგან თერთმეტი არის მაჰმა-დიანი, ექვსი კათოლიკე და თერთმე-ტი მართლმადიდებელი.

საზოგადოების მმართველობისაგან შედგენილი სკოლის პროგრამმა, მთა-ვრობისაგან დამტკიცებული, მოხსენ-დება საზოგადო ყრილობას ამ ანგა-რიშის ბოლოს.

მმართველობა საჭიროთ რაცხს მო-ახსენოს, აქვე საერთო ყრილობას, რომ იმას ჯერაც არ მიუღია: წინა-რეხის, ტონეთის განჩინება, რომლის დამტკიცება მმართველობამ დიდი ხა-ნია, რაც სთხოვა მთავრობას. გარდა ამისა მმართველობაში წარმოდგენი-ლია სტეფან წმინდის განჩინებაც და ამის წარდგენა მთავრობის წინაშე დაყოვნებულია, ვიდრე უკვე წარ-დგენილების საქმე არ გადასწყდება.

### საერო სკოლების დახმარება.

თანხმად საერო კრების დადგინე-ბისა წასრულ 1879-80 წელში მმარ-თველობამ აღმოუჩინა შემწეობა წიგ-ნებით და სასწავლო ნივთებით ორ-მოც-და-თექვსმეტ სხვა-და-სხვა სოფ-ლის სკოლებს. სოფლები, რომლის სკოლებსაც გაეგზავნა შემწეობა არიან: ახალ-ქალაქი, ბოდბის-ხევი, ვაქირი, ველიაბონი, გიორგი-წმიდა, გომი, გურჯაანი, ენისელი, კავთის-ხევი, კაკაბეთი, კარდანახი, ყვარელი

ქიზის-ხევი, მალარო, მარტყოფი, მეჯვრისხევი, მეტეხი, მუხრანი, მირზაანი, ნაფარეული, ქვემო-მაჩხაანი, ნორიო, პატარძეული, რუის-პირი, სოვლე, საგარეჯო, ხაშმი, შილდა, აკეთი, ალვანი, ამაშეყეთი, ამბარი, ამბრალაური, ასკანი, აცანი, ბალდადი, ბაჯი, ბარი, ბასილეთი, ბუგეული, ველევი, ზები, ლეხვირი ჯიხაიში, დიმი, ქულაში, ლეხვანი, ნაკურალეში, ოყურეში, ოზბელი, პერეკისი, სამნეთი, სეჯენა, ტაბანიერი, ფოცხავი, ჭუყვიში.

ზემო აღნიშნულს სოფლებს გაეგზავნა წიგნები იმ პირობით, რომ თითო ეკზემპლიარი დაარჩინონ სკოლის ბიბლიოთეკაში და სხვა დაურიგონ ღარიბს მოსწავლეებს.

სია გაგზავნილ წიგნებისა და ნივთებისა თვითეულ სკოლაში ამ ანგარიშის ბოლოშია ჩართული.

(გაგრძელება)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ქმიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირუგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი—ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიურჩარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი მარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი – შინაგან ავათმყოფობისა; ქიურჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირუგიულ ავათმყოფობის; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიურჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

# განცხადებანი

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—88)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ ბი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა აროამატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

(100—71)

## ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და ხსვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წუურვილისაგან ლეპიოშკები, ციებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი დ სხვ.

(15—7)

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოძაზე 1 მ.--1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის.

(15—6)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შიო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას იგარები.

(100—86)

ინკლისის მაღაზიაში

თმის აღმო-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და აღრაინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—106)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

# თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თ...გნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) ზ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ნასიათის ....... სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

## ინგლისის მაღაზიაში

**მოსახურავი** 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა.

(20—6)

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით.

(100—6)

# ქუთაისში

ივანე ნიკოლაძის და შეილთა მოდის მაღაზიაში მიღებულია სამზღვარ გარეთიდამ მრავალ გვარი საქონელი. თუმც ბაჟმა მოიმატა მაგრამ ყველაფერი წინანდელ ფასებით იყიდება. მაღაზიაში არის და კიდევ მოელიან დიდ-ძალ შუშეულს და ჭურჭლეულს. ფასები 25% ნაკლებ ვიდრე სხვა მაღაზიებში.

(10—6)

# დავითიანი

თხზულება

## დავით გურამის-შვილისა

(მგელი მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზაღაიკანოვისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

**ფასი** ერთი მანეთი.

**ისყიდება:** თფილისში ზ. ჩარკვიანის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ვინც ასს წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც ორმოც-დაათს—15%. ადრესი—სტამბა ხელაძისა.

(5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი